

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2017 წლის 17 მარტი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 23-ე მუხლების პირველი პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №22 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge – სსმ, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.126.016199, 01/12/2016 წ.) და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, დანართის მიხედვით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ ჩუბინიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	12 940,1	13 237,8	3 923,8	9 314,0	11 203,2	3 054,7	8 148,5
11	გადასახადები	1 035,6	2 298,6	0,0	2 298,6	2 450,0	0,0	2 450,0
13	გრანტები	10 943,9	10 034,9	3 923,8	6 111,1	8 213,4	3 054,7	5 158,7
14	სხვა შემოსავლები	960,6	904,3	0,0	904,3	539,8	0,0	539,8
2	ხარჯები	8 276,0	8 568,4	160,0	8 408,4	7 496,5	160,0	7 336,5
21	შრომის ანაზღაურება	1 781,8	1 984,3	80,5	1 903,8	1 768,0	83,0	1 685,0
22	საქონელი და მომსახურება	961,4	964,2	0,0	964,2	1 056,5	0,0	1 056,5
23	ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



24	პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
25	სუბსიდიები	4 512,6	4 399,2	78,0	4 321,2	3 944,0	76,0	3 868,0
26	გრანტები	286,7	203,7	0,0	203,7	0,7	0,0	0,7
27	სოციალური უზრუნველყოფა	725,2	861,3	1,5	859,8	619,0	1,0	618,0
28	სხვა ხარჯები	8,3	155,7	0,0	155,7	108,3	0,0	108,3
	საოპერაციო საღდო	4 664,1	4 669,4	3 763,8	905,6	3 706,7	2 894,7	812,0
31	არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 978,2	4 781,1	4 182,7	598,4	4 809,4	3 070,5	1 738,9
311	ზრდა	4 213,3	4 864,4	4 182,7	681,7	4 819,4	3 070,5	1 748,9
312	კლება	235,1	83,3	0,0	83,3	10,0	0,0	10,0
	მილიანი საღდო	685,9	-111,7	-418,9	307,2	-1 102,7	-175,8	-926,9
	ფინანსური აქტივების ცვლილება	579,4	-450,3	-440,1	-10,2	-1 310,7	-263,7	-1 047,0
32	ზრდა	579,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3212	ვალუტა და დეპოზიტები	579,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3213	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3214	სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3216	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3217	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3218	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	0,0	450,3	440,1	10,2	1 310,7	263,7	1 047,0
3222	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	440,1	440,1	0,0	1 310,7	263,7	1 047,0
3223	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3224	სესხები	0,0	10,2	0,0	10,2	0,0	0,0	0,0
3225	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3226	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3227	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



3228	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3	ვალდებულებების ცვლილება	-106,5	-34,9	-21,2	-13,7	-208,0	-87,9	-120,1
33	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
332	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
331	საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	106,5	34,9	21,2	13,7	208,0	87,9	120,1
322	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
321	საშინაო	106,5	34,9	21,2	13,7	208,0	87,9	120,1
		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	შემოსულობები	13 220,5	13 331,3	3 923,8	9 407,5	11 213,2	3 054,7	8 158,5
1	შემოსავლები	12 940,1	13 237,8	3 923,8	9 314,0	11 203,2	3 054,7	8 148,5
31	არაფინანსური აქტივების კლება	235,1	83,3	0,0	83,3	10,0	0,0	10,0
32	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	45,3	10,2	0,0	10,2	0,0	0,0	0,0
33	ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გადასახდელები	12 595,8	13 467,7	4 363,9	9 103,8	12 523,9	3 318,4	9 205,5
2	ხარჯები	8 276,0	8 568,4	160,0	8 408,4	7 496,5	160,0	7 336,5
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 213,3	4 864,4	4 182,7	681,7	4 819,4	3 070,5	1 748,9
32	არაფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
33	ვალდებულებების კლება	106,5	34,9	21,2	13,7	208,0	87,9	120,1
	ნაშთის ცვლილება	624,7	-136,4	-440,1	303,7	-1 310,7	-263,7	-1 047,0



მუხლი 3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11203.2 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	12940,1	13237,8	3923,8	9314,0	11203,2	3054,7	8148,5
11	გადასახადები	1035,6	2298,6	0,0	2298,6	2450,0	0,0	2450,0
13	გრანტები	10943,9	10034,9	3923,8	6111,1	8213,4	3054,7	5158,7
14	სხვა შემოსავლები	960,6	904,3	0,0	904,3	539,8	0,0	539,8

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2450.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
11	გადასახადები	1035,6	2298,6	0,0	2298,6	2450,0	0,0	2450,0
112	საშემოსავლო გადასახადი	0,0	563,9	0,0	563,9	620,0	0,0	620,0
113	ქონების გადასახადი	1035,6	1734,7	0,0	1734,7	1830,0	0,0	1830,0
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	801,8	1065,8	0,0	1065,8	1100,0	0,0	1100,0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	263,5	0,0	263,5	365,0	0,0	365,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,7	9,7	0,0	9,7	10,0	0,0	10,0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	41,1	46,5	0,0	46,5	45,0	0,0	45,0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	187,0	349,2	0,0	349,2	310,0	0,0	310,0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
116	სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8213.4 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
13	გრანტები	10943,9	10034,9	3923,8	6111,1	8213,4	3054,7	5158,7
133	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10943,9	10034,9	3923,8	6111,1	8213,4	3054,7	5158,7
1311	ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6686,2	6271,1	160,0	6111,1	5318,7	160,0	5158,7
	გათანაბრებითი ტრანსფერი	6534,2	6111,1	0,0	6111,1	5158,7	0,0	5158,7
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	152,0	160,0	160,0	0,0	160,0	160,0	0,0
1312	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4257,7	3763,8	3763,8	0,0	2894,7	2894,7	0,0
	რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	2864,8	2744,7	2744,7	0,0	2894,7	2894,7	0,0
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	834,3	895,3	895,3	0,0	0,0	0,0	0,0
	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	558,6	123,8	123,8	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა პროექტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 539.8 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
14	სხვა შემოსავლები	960,6	904,3	0,0	904,3	539,8	0,0	539,8
	პროცენტები	55,0	49,8	0,0	49,8	10,0	0,0	10,0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	387,0	320,4	0,0	320,4	202,0	0,0	202,0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	384,9	314,8	0,0	314,8	200,0	0,0	200,0
	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში	2,1	5,6	0,0	5,6	2,0	0,0	2,0



	(უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,1	5,6	0,0	5,6	2,0	0,0	2,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	65,5	90,2	0,0	90,2	55,8	0,0	55,8
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	61,7	81,4	0,0	81,4	54,0	0,0	54,0
14222	სანებართვო მოსაკრებელი	4,4	13,5	0,0	13,5	4,0	0,0	4,0
	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	56,9	67,9	0,0	67,9	50,0	0,0	50,0
142216	ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	3,8	8,8	0,0	8,8	1,8	0,0	1,8
14232	შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	3,8	8,8	0,0	8,8	1,8	0,0	1,8
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	426,9	344,9	0,0	344,9	270,0	0,0	270,0
	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	7,0	24,4	0,0	24,4	0,0	0,0	0,0
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	19,2	74,6	0,0	74,6	2,0	0,0	2,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12523.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
2	ხარჯები	12489,3	13432,8	4342,7	9090,1	12523,9	3318,4	9205,5
21	შრომის ანაზღაურება	1781,8	1984,3	80,5	1903,8	1768,0	83,0	1685,0
22	საქონელი და მომსახურება	961,4	964,2	0,0	964,2	1056,5	0,0	1056,5
25	სუბსიდიები	4512,6	4399,2	78,0	4321,2	3944,0	76,0	3868,0
26	გრანტები	286,7	203,7	0,0	203,7	0,7	0,0	0,7
27	სოციალური უზრუნველყოფა	725,2	861,3	1,5	859,8	619,0	1,0	618,0
28	სხვა ხარჯები	8,3	155,7	0,0	155,7	108,3	0,0	108,3
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4213,3	4864,4	4182,7	681,7	4819,4	3070,5	1748,9
33	ვალდებულებების კლება	106,5	34,9	21,2	13,7	208,0	87,9	120,1



მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4819.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	69,0	66,4	0,0	66,4	147,0	0,0	147,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3634,3	4569,0	4074,1	494,9	4582,4	3070,5	1511,9
04 00	განათლება	510,0	217,7	108,6	109,1	90,0	0,0	90,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0,0	11,3	0,0	11,3	0,0	0,0	0,0
	სულ ჯამი	4213,3	4864,4	4182,7	681,7	4819,4	3070,5	1748,9

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
31	არაფინანსური აქტივების კლება	235,1	83,3	0,0	83,3	10,0	0,0	10,0
311	ძირითადი აქტივები	95,5	3,9	0,0	3,9	0,0	0,0	0,0
312	მატერიალური მარაგები	0,0	12,7	0,0	12,7	5,0	0,0	5,0
314	არაწარმოებული აქტივები	139,6	66,7	0,0	66,7	5,0	0,0	5,0
3141	მიწა	139,6	66,7	0,0	66,7	5,0	0,0	5,0



მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	სულ		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების კლება	0,0	10,2	10,2	10,2	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	10,2	10,2	10,2	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	10,2	10,2	10,2	0,0	0,0	0,0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჩრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2462,4	2690,8	0,0	2690,8	2640,2	0,0	2640,2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2462,4	2690,8	0,0	2690,8	2639,2	0,0	2639,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2462,4	2690,8	0,0	2690,8	2604,2	0,0	2604,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	35,0	0,0	35,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0	0,0	1,0	0,0	1,0
702	თავდაცვა	111,5	109,9	80,5	29,4	100,0	83,0	17,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	279,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	279,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1647,4	3438,2	3180,4	257,8	3798,5	3086,0	712,5



7045	ტრანსპორტი	1647,4	3438,2	3180,4	257,8	3798,5	3086,0	712,5
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1647,4	3438,2	3180,4	257,8	3798,5	3086,0	712,5
705	გარემოს დაცვა	1006,3	902,4	0,0	902,4	700,0	0,0	700,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1006,3	902,4	0,0	902,4	700,0	0,0	700,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2289,5	1288,9	914,9	374,0	1195,5	57,1	1138,4
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1299,1	98,7	0,0	98,7	667,0	3,6	663,4
7063	წყალმომარაგება	78,3	47,0	0,0	47,0	160,0	0,0	160,0
7064	გარე განათება	150,9	169,9	0,0	169,9	190,0	0,0	190,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	761,2	973,3	914,9	58,4	178,5	53,5	125,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	95,5	114,3	78,0	36,3	102,0	76,0	26,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	75,5	89,1	78,0	11,1	80,0	76,0	4,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	20,0	25,2	0,0	25,2	22,0	0,0	22,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1612,3	1661,1	0,0	1661,1	1127,0	0,0	1127,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	919,2	786,7	0,0	786,7	360,0	0,0	360,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	646,5	803,2	0,0	803,2	715,0	0,0	715,0
7083	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	46,6	71,2	0,0	71,2	52,0	0,0	52,0
709	განათლება	2353,0	2316,6	108,6	2208,0	2176,4	15,3	2161,1
7091	სკოლამდელი აღზრდა	2128,4	2117,9	108,6	2009,3	1996,4	15,3	1981,1
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	224,6	198,7	0,0	198,7	180,0	0,0	180,0
710	სოციალური დაცვა	738,7	945,5	1,5	944,0	684,3	1,0	683,3
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	72,9	68,6	0,0	68,6	70,0	0,0	70,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	516,4	530,1	0,0	530,1	361,0	0,0	361,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	149,4	346,8	1,5	345,3	253,3	1,0	252,3
	სულ	12595,8	13467,7	4363,9	9103,8	12523,9	3318,4	9205,5



მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1102.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1310.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 208.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 35.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 16. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 160.0 ათასი ლარი მიიძღვრება:
 - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 76.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 83 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისა და დღეობის და დამსახურებისა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 17. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზება. ხოლო, შემდგომ მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

- ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით თერჯოლის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზება. ხოლო შემდგომ მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ



პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) გზების მშენებლობის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებული ასფალტოვანი დაზიანებული გზების შეკეთება და ხრემოვანი გზების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, საგარანტიო თანხების დაფინანსება. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2894.7 ათასი ლარი გზების რეაბილიტაციისათვის, მათ შორის: სოფ. ძევი-ზედა სიმონეთის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა (დასრულება) 428.1 ათასი ლარით; სოფ. ღვანკითი-ტელეფა-რუფოთის დამაკავშირებელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა (დასრულება) 578.6 ათასი ლარით; ქ. თერჯოლა სიქთარვის დამაკავშირებელი ს/გზის ბეტონის საფარით მოწყობის (დასრულება) 706.6 ათასი ლარით; სოფ. ჩხარი-გოგნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (დასრულება) 404.4 ათასი ლარი; სოფ. ზედა საზანოს – 26 მაისის დამაკავშირებელი გზის 2,5 კმ-იანი მონაკვეთის ბეტონის საფარით მოწყობა 460.1 ათასი ლარით; ქ. თერჯოლაში რუსთაველის ქუჩის ჩიხის გზის რეაბილიტაცია 316.9 ათასი ლარი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, მათ შორის: სახურავების რეაბილიტაცია, წყალ-კანალიზაციის მოწესრიგება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

ბ.ა) საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების სხვადასხვა სახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, საგარანტიო თანხების დაფინანსება.

ბ.ბ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული სასმელი წყლის მილების შეცვლა, მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო ინვენტარის შექმნა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დღე-ღამის ნებისმიერ დროს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და სოფლის ცენტრებში ახალი წერტილების მოწყობა.

გ) ა(ა)იპ – თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქის ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ცენტრალური საავტომობილო გზის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თვითღინებითი წყალსადენების წყლის სათავე ნაგებობებისა



და წყლის სისტემების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე და დეკორატიული განათების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ქალაქგამწვანებისა და ქალაქგაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. შენობა-ნაგებობების, მიმდებარე ტერიტორიების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტროტუარების გაზონების მოწყობა, მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების წარმოება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩებისა და ტროტუარების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

აღნიშნული პროგრამა ფინანსდება სუბსიდირების მუხლით.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

სოფლების ცხოვრების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება მოსახლეობის მიერ არჩეული პროექტების დაფინანსება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება სუბსიდირების მუხლით, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა. ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე გაზიფიკაციის პროცესის პარალელურად ყველა საბავშვო ბაღის ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის დამონტაჟება და მოხმარებული ბუნებრივი აირის ხარჯების უზრუნველყოფა.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ორგანიზება და მართვა.

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება. ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა.ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“ მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბაგა-ბაღს, სადაც ფუნქციონირებს 50 საამღზრდელო ჯგუფი.

საბავშვო ბაგა-ბაღში დაწყებით განათლებას იღებს 1500 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, ბავშვების კვებას, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს სუბსიდიის მუხლით. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

საბავშვო ბაგა-ბაღების დაფინანსება ხელს შეუწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინტელექტუალურ-ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.

ა.გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება.

ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესტეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი (პროგრამული კოდი 04 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ – მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესტეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, რომელიც ფინანსდება სუბსიდიის მუხლით. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია



ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ა.ბ) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საპოვნელა“ (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში (ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საპოვნელა“ ფინანსდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო 2017 წელს დაფინანსდება ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის“ მიერ.

ა.გ) ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრი აქტიურად ახორციელებს სპორტის სახეობათა მიხედვით სპორტული გუნდების, ჯგუფების და სექციების მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში და შეჯიბრებებში, თანამშრომლობს სახელმწიფო და არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად ატარებს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს (კალათბურთი, ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი, ჭიდაობა, მხიარული სტარტები და სხვა). ცენტრი ეფექტურად იყენებს სპორტულ ნაგებობას, უვლის და პატრონობს როგორც მას ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შადრევანს და გამწვანებულ ზოლს. ცენტრი უზრუნველყოფს თერჯოლის მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ სპორტსმენებად. სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ჭიდაობის 10 ჯგუფი, ჭადრაკის 2, კალათბურთის 1, კარატეს 1, სანდას 1, ტანვარჯიშის 1 და რაგბის 2 ჯგუფი. სკოლაში მთლიანად წვრთნებს გადის 300 მოზარდი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ყველა ხარჯს სუბსიდიის მუხლით.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ვაჟა კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლა“, სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს 171 ბავშვი. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 5 ლარს თვეში.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „თერჯოლის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლა,, სადაც სამხატვრო განათლებას იღებს 62 ბავშვი.

ბ.ბ) ბიბლიოთეკები (პროგრამული კოდი 05 02 03)

